ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტის გამოთვლითი მათემატიკისა და ინფორმატიკის სპეციალობის მაგისტრატურის II კურსის სტუდენტის

ოლეგ ჯავახაძე

სამაგისტრო ნაშრომი

საქართველოს მოსახლეობის შემოსავლების განაწილებისა და მოხმარების მათემატიკური მოდელი

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
თემურ ჩილაჩავა

თბილისი
2011

სარჩევი

- ანოტაცია - 3 გვ
- შესავალი - 4 გვ
- თავი I. ქვეყნის მოსახლეობის შემოსავლის განსაზღვრის მოდელი - 5 გვ
- თავი II. განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის შემოსავლების განაწილებისა და მოხმარების მოდელი - 8 გვ
- თავი III. კავკასიის ქვეყნების მოსახლეობის შემოსავლის განსაზღვრის მოდელი - 16 გვ
- თავი IV. საქართველოს მოსახლეობის შემოსავლების განაწილებისა და მოხმარების მოდელი - 17 გვ
- დასკვნა - 19 გვ
- ლიტერატურა - 20 გვ
- დანართი - 21 გვ

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში შერჩეულია ლორენცის წირი, რომელიც საკმაოდ კარგად აღწერს დღევანდელ საქართველოში შემოსავლების განაწილებასა და მოხმარებას მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის.

ნაჩვენებია, რომ შერჩეული ლორენცის წირის შემთხვევაში, გადახრა შემოსავლების თანაბრად განაწილების სამკუთხედიდან შეადგენს მისი ფართობის თითქმის 90,5%, რაც ნიშნავს იმას რომ ფაქტიურად შემოსავალი მთლიანად მოსახლეობის დაახლოებით 9%-ის ხელშია.

ეს წირი იძლევა საშუალებას შევაფასოთ უსამართლობის ხარისხი საქართველოში მოსახლეობის შემოსავლების განაწილებაში.

ნაპოვნი ჯინის კოეფიციენტი იძლევა საშუალებას შევისწავლოთ და ერთმანეთს შევადაროთ საქართველოს, მეზობელი ქვეყნებისა და განვითარებული ქვეყნების შემოსავლების განაწილება, შევისწავლოთ ამ პროცესის დინამიკის კანონზომიერებები.

შედარებით განვითარებული ქვეყნის (ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი და სხვა) შემოსავლების განაწილების სტატისტიკურმა მონაცემებმა გამოავლინეს ის, რომ ფაქტიურად შემოსავალი მთლიანად მოსახლეობის დაახლოებით 32 - 33%-ის ხელშია.

რაც ეხება კავკასიის მეზობელ ქვეყნებში, აზერბაიჯანში და სომხეთში მოსახლეობის ეს რაოდენობა მერყეობს 16 - 22% ფარგლებში, რაც საქართველოსთან შედარებით ცუდი მაჩვენებელი არ არის.